137
1945

# ოქტომბრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



1945 თებერვალი №1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 1

თებერვალი 1945

წელიწადი მეხუთმეტე

# ოქტომბრელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

„Октомбрели“ ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28

ტელ. 3-81-85

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მინაარსი

გვ.

სტალინს (საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილიდან) . . 1
საბჭოთა საქართველო (წერილი) . . . . . . . . . . . . . . 2
რევაზ მარგიანი—სიმღერა ბერიაზე (ლექსი) . . . . . . . . . 3
პოლიო აბრამია—მამა მალე მოვა (მოთხრობა) . . . . . . . 4
იოსებ გრიშაშვილი—პატარა გოგის საჩუქარი (ლექსი) . . . . 5
ნიკოლოზ ჩაჩავა—თვითმფრინავი (ლექსი) . . . . . . . . . 5
დემნა შენგელაია—მუხა; გლერტა ბალახი . . . . . . . . . 6
გრიგოლ ცეცხლაძე—მამუკა (ლექსი) . . . . . . . . . . . . 7
ნიკოლოზ ჩაჩავა—უშიშარი (ლექსი) . . . . . . . . . . . . 7
ლევან ასათიანი—აკაკი (წერილი) . . . . . . . . . . . . 8
გიორგი ქუჩიშვილი—ბერიკაცი და ბავშვები (ლექსი) . . . . . . 10
გივი გაჩეჩილაძე—პატარა რეზო (ლექსი) . . . . . . . . . . 10
სერგო კლდიაშვილი—ერთი მურას ამბავი (მოთხრობა) . . . . . 11
მურმან ლებანიძე—მამას ელის (ლექსი) . . . . . . . . . . 12
ალეკო შენგელია—ლურჯა (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 12
ნინო ნაკაშიძე—დათვი, მელა და კაცი (ზღაპარი) . . . . . . . 13
ოთარ ჩხეიძე—გიგას მელა (მოთხრობა) . . . . . . . . . . . 14
პარმენ ჭანიშვილი — ჩხიკვის ხუმრობა (ზღაპარი) . . . . . . . . 16
ილია სიხარულიძე—გულიკოს საუბარი (ლექსი) გარეკ. მე 3 გვ.
გამოცანები, ჩქარა გამოთქვით! და სხვ. . . . . . . გარეკ. მე 3 გვ.

გარეკანის 1-ლ გვ.—„მამის ბარათმა გაახარა“,—სურათი შესრულებულია მხატვარ ს. ნადარეიშვილის მიერ.
გარეკანის მე-4 გვ.—„ბაბუა და შვილიშვილები“,—სურათი შესრულებულია მხატვარ ა. გიგოლაშვილის მიერ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: ლ. ავალიანის, დ. გაბაშვილის, ა. გიგოლაშვილის, ი. გეპნერის, მ. დაუშვილის, ნ. იანქოშვილის, ს. მაისაშვილის, ი. მამალაძის, ს. ნადარეიშვილის, რ. სტურუას და ო. ჭიაურელის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4050



# ს ტ ა ლ ი ნ ს

ბედნიერი ჩვენი ხალხი, მადლიერი საქართველო,
შენს დიდებას მღერის მარად, შენ მოგმართავს ჩვენო მხსნელო:
საშინელი განსაცდლისგან შენ იხსენი ჩვენი კერა,
წინ გვიძღოდა შენი აზრი, გონება და გულის ძგერა.
და თუ ჩვენს ხალხს გამარჯვება მოუტანა დიდმა ბრძოლამ,
მხოლოდ მიტომ, რომ შენ გვყავდი ამ ბრძოლაში წინამძღოლად.
მაშ იცოცხლე, რადგან ჩვენ ხალხს შენ სიცოცხლე შეუნახე,
გმირთა გმირო, ჩვენ გულებზე დავიხატეთ შენი სახე.
შენ იცოცხლე ჩვენო მამავ, ჩვენო მხსნელო, ბრძენთაბრძენო,
იდღეგრძელე მტრისთვის რისხვად და სამშობლოს სადღეგრძელოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო

25 თებერვალს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს 24 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდაა იგი, მაგრამ ძლიერი, მამაცი და გაუტეხელი.

თქვენ, ნორჩო მკითხველებო, საბჭოთა წყობილების დროს ხართ დაბადებული, ამიტომ არ გინახავთ მძიმე წარსული.

აღმაშფოთებელი იყო მაშინდელი ცხოვრება.

ერთი მუჭა ბურჟუებისა და მემამულეების ბატონობის უღელქვეშ კვნესოდა ქვეყანა. ქართველი მენშევიკების ხელისუფლება მათი ინტერესების გამომხატველი და მათი ბატონობის დამცველი იარაღი იყო.

თავისუფლების მოყვარულმა ქართველმა ხალხმა ვერ აიტანა მონობის უღელი, ლენინისა და სტალინის იდეებზე აღზრდილმა იარაღი აისხა. დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერით და წითელი არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში მოსპო მემამულურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების ბატონობა და საბჭოთა სოციალისტური წყობილება დაამყარა.

იმ დღიდან საქართველო დაადგა განახლებისა და განათლების გზას. იგი სრულუფლებიან წევრად შევიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ოჯახში. ქართველი ხალხი ამაღლდა გონებრივად და მორალურად.

ქართველი ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული სიძლიერით გამოჩნდა. ქართველი ხალხის მამაცმა შვილებმა, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შვილების გვერდით, თავი ისახელეს გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში.

დიდი სტალინის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომლის განხორციელებას ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ხელმძღვანელობდა, ქართველმა მეომრებმა, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შვილების მხარდამხარ, გერმანელი ფაშისტი ურდოები კავკასიის მისადგომებთან შემუსრეს და უკუაგდეს.

ძლევამოსილად მიდის წინ წითელი არმია, რომელსაც არსებობის 27 წლისთავი მიმდინარე წლის 23 თებერვალს შეუსრულდა.

ყოველი დღე აახლოვებს გერმანელი ფაშისტების განადგურებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სიმღერა ბერიაზე

მიიღეთ, ძია ბერია, ქართველ ბავშვების მადლობა,
სამშობლო მხარე დაიცვა თქვენმა ნიჭმა და სარდლობამ.

თქვენ რკინის მკერდით ჩარაზეთ კავკასიონის კარები
და საქართველო გახადეთ მტრისათვის მიუკარები.

იცოცხლეთ, ძია ბერია, ბავშვების გასახარადა,
ვაჟკაცობა და სიმართლე მუდამ გქონოდეთ ხმალადა!

ვასრულებთ, ძია ბერია, რაც ბავშვებს დაგვიბარეთ: —
სწავლით, შრომით და გმირობით ვახაროთ ჩვენი მხარეო!

რევაზ მარგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამა მალე მოვა

მოთხრობა

ინჟინერი შალვა გიგაური ომის გამოცხადების პირველ დღესვე გაიწვიეს ჯარში.

შვილის შეძენის ამბავი შორეულ ფრონტზე გაიგო შალვამ.

„მშვენიერია ჩვენი ბიჭი, ახლა უკვე ხუთი თვისაა. ჯერჯერობით ბუთხუზას ვეძახით საალერსოდ. ნამდვილი სახელი უშენოდ ვერ დაგვირქმევია. მოგვწერე, რა დავარქვათ?“ — უთვლიდა მას ეთერი.

ოჯახი ისევ ძველებურად ცხოვრობდა. ეთერი სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, ნატო კი, შალვას დედა, ოჯახს დასტრიალებდა. უვლიდა თავის საყვარელ შვილიშვილს — პატარა ბუთხუზას.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიიღეს შალვას წერილი.

„გუშინ, შეტევაზე გადასვლის წინ, მივიღე თქვენი წერილი. — სწერდათ შალვა,— მდინარის პირად ვიყავით. ჩემს ქვეგანაყოფს დავალებული ჰქონდა გადაელახა წყლის ზღუდე და დაეკავებინა ბორცვი, საიდანაც ფაშისტები გვესროდნენ. ეს ძნელი საქმე იყო, მაგრამ თქვენმა წერილმა უჩვეულო ძალა შემმატა. გადავწყვიტე, ჩემი ბუთხუზას სახელით გადავსულიყავი შეტევაზე... როცა მტერი გავანადგურეთ, ჩემს საველე რუკაზე ეს ადგილი წითელი ფანქრით შემოვხაზე, მინდოდა ზედ „ბუთხუზას ბორცვი“ დამეწერა, მაგრამ გადავიფიქრე და „ერეკლეს ბორცვი“ დავაწერე.

ბუთხუზა! არ მომწონს ეს საალერსოდ შერქმეული სახელი. ჩემი სურვილია, ჩვენს ბიჭს ერეკლე დავარქვათ, ჩვენი სახელოვანი ერეკლე მეფის სახელი.

იყავით კარგად. ერეკლეს უთხარით, რომ მამა მალე ჩამოვათქო.“

* * *

იმ დღიდან ბავშვს ერეკლე დაარქვეს. იზრდებოდა და მშვენდებოდა ერეკლე გიგაური, მამას ემსგავსებოდა.

ოჯახში დიდი სიხარული შემოიტანა ერეკლემ. ფეხი ადრე აიდგა, ტიკტიკიც დაიწყო. ნატო ხელიდან არ უშვებდა ბავშვს, ჩაისვამდა კალთაში, წინ გაუშლიდა სურათებს და ეტყოდა:

— დაგენაცვლოს ბებია, აი ეს არის მამაშენი!

ნატო ჯერ შალვას ცალკე სურათს უჩვენებდა, მერე ჯგუფში გადაღებულს, დაადებდა თითს და გაუმეორებდა:

— აი კიდევ, მამა!

ერეკლე შეფრთხიალდებოდა სიხარულისაგან და გაიმეორებდა ბებიას ნათქვამს:

— აი მამა!

ეთერი და ნატო ბედნიერად თვლიდნენ თავს. შალვასაგან ხშირად ღებულობდნენ წერილებს. შალვამ სურათიც გამოგზავნა; სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, სამი ორდენით მკერდდამშვენებული. ეთერიმ ეს სურათი გაადიდებინა და შალვას საწერ მაგიდასთან დაჰკიდა კედელზე. მერე ერეკლეს ჰკითხა:

— შვილო, ვინ არის ეგ?

ერეკლემ ერთხანს უყურა, მერე მომღიმარი სახით ბებია ნატოს მიაჩერდა და მისკენ გაექანა. ნატომ ხელში აიყვანა იგი, აკოცა, სურათთან ახლოს დადგა და უთხრა:

— ველარ იცანი? მამაა, გენაცვალე. შენი მამა, ტანკისტი...

ერეკლემ პატარა ფუნთუშა თითი გაიშვირა სურათისაკენ და წარმოსთქვა:

— დიდი მამა...

ერეკლე გიგაური ახლა მეოთხე წელშია. იგი გარკვევით ლაპარაკობს. როცა სთხოვენ, სმენაზე დადგება და ლექსსაც ამბობს.

ერეკლეს ბევრი სათამაშო აქვს: ფერადი ბურთი, ცხენი, დათვი, მელა, კურდღელი, ნიჩაბი, თოფი. მაგრამ ყველაზე უფრო მოსწონს ბებიას მოტანილი ტანკი. ერეკლე დარბის ოთახში, მიაქროლებს ტანკს და უხარია, ტანკის კოშკურა რომ სულ ტრიალებს. დარბის ერეკლე და თან გაიძახის:

— ჩემი მამა, დიდი მამა...

სახეგაბრწყინვებული ბებია ნატო წინ გადაუდგება, დაუკოცნის ლოყებს, მერე ძირს ჩამოსვამს და შეეკითხება:

— დაგენაცვლოს ბებია, სად არის მამა?

— მამა მალე მოვა, — მიუგებს ერეკლე და მოპირდაპირე კუთხისაკენ სიხარულით გააქროლებს თავის ტანკს.

პოლიო აბრამია

# პატარა გოგის საჩუქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგე, რომ ფრონტისათვის
ჰკრებთ საჩუქრებს მრავალგვარებს,
რომ მებრძოლნი გაახაროთ,
დაეხმაროთ მშობელ მხარეს.

ამ ომის დროს, განა მე კი
უნდა ვიყო ჩუმად, მუნჯად?
გთხოვთ, მიიღოთ ფრონტისათვის
ჩემი ცხენი — ჩემი ლურჯა.

ჩემს თაროზე სხვა რამ ნივთი
ვერ მოვნახე შესაფერი...
— ყველაფერი ომისათვის,
ომისათვის ყველაფერი!.

ჩემი ცხენი სხვას როდი ჰგავს?
მხნე არის და გმირთა-გმირი,
ნიავივით მსუბუქია,
შურდულივით პირდაპირი.

გამოხედვა ქორისა აქვს
და ნაბიჯი — მეტად ფრთხილი.
ეს ფაფარიც ჩემგანაა
მოვლილი და დავარცხნილი.

ჩემი ცხენი მტრების ურდოს
დაამარცხებს უეჭველად, —
ამიტომაც, გთხოვთ, ეხლავე
გააფრინოთ ბრძოლის ველად,

რომ სამშობლომ გაიმარჯვოს,
რომ დამარცხდეს ჩვენი მტერი, —
ყველაფერი ომისათვის,
ომისათვის ყველაფერი!

იოსებ გრიშაშვილი

---

# თვითმფრინავი



თვითმფრინავმა გადიფრინა,
შიგ ვინ იჯდა ველარ იცან?
ჩემი ძმაა, ჩვენ სუყველას
გვდარაჯობს და მტრისგან გვიცავს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუხა

დემნა შენგელაია



ტყეში ხმა ამოვიდა:
— დარბაზი დაინგრა და ხალხი თან დაიტანაო.
მუხამ გადმოიხედა და იკითხა:
— ჩვენი ბიჭი ხომ არ ერიაო?
— არა, დარბაზი წიფლისა იყოო.
— ჰოდა, აკი იმიტომაც დანგრეულაო!

# გლერტა ბალახი

გაზაფხულზე გლერტა თხამ გადასძოვა. ზაფხულის გვალვამ ნამი გამოუშრო. შემოდგომის ქარმა ძირი გამოუთხარა და, მორგვად დახვეული, მთელი ზამთარი აქეთ-იქით უგზო-უკვლოდ აგორა. სამ წელიწადს ყვავის ბუდედ იყო. მეოთხე წელს ძირს ჩამოვარდა.
— იიჰ, კინაღამ არ დავიღუპეო! — ამოხდა შვებით და ფესვი მიწას ხარბად მოსდო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა



ჩემი პატარა მამუკა
სამი წლის ბიჭი გამხდარა.
ნახეთ, როგორი მკვირცხლია?
მზის ამოსვლამდე ამდგარა.

ხელპირიც დაუბანია,
ტანზეც ჩაუცვამს თავადა.
გადუვარცხნია ქოჩორი,
ტურფაა სანახავადა.

—„ახლა მე უკვე დიდი ვარ!“—
იძახის თავის ქებითა
და მაღალ კოშკებს აშენებს
ფერადი კუბიკებითა.

გრიგოლ ცეცხლაძე

# უშიშარი



მომეცით თოფი, მომეცით ცხენი,
გადავირბინო უშიშრად მთები,
მებრძოლებს ფრონტზე მივართვა
მღვენი,
მამასაც ვნახავ და დავბრუნდები.

ნიკოლოზ ჩაჩავა

# აკაკი

ოცდაათმა წელმა განვლო დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე აკაკიმ სამშობლოს სამსახურს მოახმარა. თავისი დიდებული პოეტური ნიჭი და შთაგონება მან შესწირა მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას, მის კულტურულ აღორძინებას, გონებრივსა და ზნეობრივ ამაღლებას.

აკაკი კარგად იცნობდა თავის ხალხს, მის წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებას.

თავისი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებებით ის გამოსთქვამდა თავის სამშობლოს გრძნობასა და ფიქრებს, მის გულისნადებს. ქართველმა ხალხმა აკაკის შემოქმედებაში თავისი სულისკვეთების სრული გამოხატულება ჰპოვა. ამიტომ შეიყვარა მან თავისი მოხუცი მგოსანი გულწრფელი და უსაზღვრო სიყვარულით.

აკაკის ლექსებით მოფენილია მთელი საქართველო; არ არის კუთხე ჩვენს ქვეყანაში, რომ აკაკის სახელს არ იცნობდნენ, რომ მის ლექსებს არ მღეროდნენ.

რუსთაველთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი ქართველი ხალხის უდიდესი და უსაყვარლესი მგოსანია.

აკაკი დაიბადა 1840 წელს, ზემო იმერეთის სოფელ სხვიტორში. მისი მშობლები თავადები იყვნენ, სასახლეში ცხოვრობდნენ და საკმარისი შეძლებაც ჰქონდათ, ძველი ადათ-წესების მიმდევრები იყვნენ. ახლად დაბადებული აკაკი მახლობელ სოფელში გაგზავნეს, გლეხის ოჯახში, ძიძასთან.

გლეხის ღარიბმა ქალმა გაზარდა პატარა აკაკი ისლით დახურულ ქოხში, მან აწოვა თავისი ძუძუ, უმღერა ნანა და პატარაობიდანვე ჩაუნერგა გულში მშრომელი ხალხის და სამშობლოს სიყვარულის კეთილი გრძნობა.

ექვს წლამდე აკაკი სოფელში იზრდებოდა, თავის ტოლ გლეხის ბიჭებთან. დილიდან საღამომდე ის ატარებდა მინდორში, ტყეში, ყანასა და სამწყესურში, აკვირდებოდა დაჩაგრული, მშრომელი ხალხის ცხოვრებას.

ექვსი წლის აკაკი მშობლებმა სახლში წაიყვანეს. როცა დრომ მოაწია, დედამ მას წერა-კითხვა ასწავლა. ბავშვმა დიდი ნიჭი გამოიჩინა, ისე გავარჯიშდა კითხვაში, რომ რვა წლისამ თავიდან-ბოლომდე წაიკითხა „ვეფხის-ტყაოსანი“.

ათი წლის აკაკი სასწავლებელში მიაბარეს. მოწაფეობის წლები პოეტმა აღწერა თავის „თავგადასავალში“. მეფის დროინდელ სკოლებში მძიმე პირობები იყო შექმნილი მოსწავლეებისათვის. მათ აკრძალული ჰქონდათ მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკი, სულ მცირე დანაშაულისათვის შემოღებული იყო მკაცრი სასჯელი. აკაკის მძიმე მოგონებები გამოჰყვა სკოლიდან.

სასწავლებლის კურსის დამთავრების შემდეგ აკაკი გაემგზავრა რუსეთში, უმაღლესი ცოდნის მისაღებად. მან ოთხი წელი დაჰყო პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტში. მაშინ იქვე სწავლობდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. აკაკი და ილია ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დამეგობრდნენ და ფიცი მისცეს ერთმანეთს, რომ თავის ცხოვრებას სამშობლოს სამსახურს შესწირავდნენ.

სწავლის დამთავრების შემდეგ აკაკი სამშობლოში დაბრუნდა.

აკაკი ამ დროს უკვე ბეჭდავდა თავის ლექსებს. ხალხი იცნობდა მას, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მგოსანს.

ლექსების წერა აკაკიმ ბავშვობიდანვე დაიწყო. ჯერ ზეპირად სთხზავდა სახუმარო შაირებს, რადგან წერა-კითხვა არ იცოდა. ის ძალიან მახვილგონიერი ბავშვი იყო და ხუმრობა ეხერხებოდა. თავის შაირებში ის სასაცილოდ იგდებდა ხან მამის გაიძვერა მოურავს ხან გალოთებულ ხაზაზს.

აკაკის სატირული ნიჭი შემდეგში უფრო განვითარდა. თავისი სატირის სუსხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგში მან მიმართა სამშობლოს მტერებისა და ორგულების წინააღმდეგ.

აკაკის შემოქმედება მრავალფეროვანი იყო. დიდ ნიჭის ძალასთან ერთად მას ახასიათებდა დაუცხრომელი, დაუღალავი შრომისმოყვარეობა.

თავის ლირიკულ ლექსებში აკაკი უმღეროდა სამშობლოს, ხალხს, მშობლიური ქვეყნის ბუნებას. ის მოუწოდებდა ქართველობას მტკიცედ და ერთგულად ჰყვარებოდათ თავისი სამშობლო, ებრძოლათ მისი თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის, მოუწოდებდა ახალგაზრდობას მაგალითი აეღოთ გმირი წინაპრებისაგან.

აკაკის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნაწარმოებები: „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „გამზრდელი“, „ბაში აჩუკი“, „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“ და სხვა.

აკაკის ძალიან უყვარდა ბავშვები. მათთვის მან მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა: ლექსები, იგავ-არაკები, ზღაპრები, სახუმარო სიმღერები. მოხუც აკაკის ბავშვებს შორის მეგობრებიც ჰყავდა. მათთვის მას ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი.

თავის ლექსებსა და მოთხრობებში აკაკი მოუწოდებდა ბავშვებს ყვარებოდათ სამშობლო, ყვარებოდათ შრომა, ყოფილიყვნენ პატიოსანნი და მაღალზნეობის მქონე ადამიანები, მას სწამდა სამშობლოს ბედნიერი მომავალი და ახალგაზრდობის ნათელი ცხოვრება.

**„თქვენ სულ სხვა დრო მოგელისთ**
**სხვაგვარი გზა და კვალი**
**და თუ სწორა გაივლით,**
**იხარებს მომავალი“,—**

მიმართავდა აკაკი მოზარდებს. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ ქართველი ხალხი ჩქარა მოიპოვებდა თავისუფალ ცხოვრებას. ის ნანობდა, რომ მოხუცი იყო და ვერ მოესწრებოდა ამ დღეს, მაგრამ მაინც კმაყოფილად გრძნობდა თავს. ის სთხოვდა ბავშვებს, როცა სამშობლოს ბედნიერი დრო დაუდგებოდა, მისულიყვნენ მის საფლავზე.

**„მაშინ, ახალგაზრდებო,**
**ნახეთ ჩემი საფლავი.**
**(მეც იქ თქვენთან გავჩნდები**
**თან მგრძნობი უხილავი).**
**სიცილით ჩამომძახეთ:**
**აგისრულდა ახლა კი,**
**რასაც რომ მოელოდი,**
**მეგობარო აკაკი!“**

მოხუცი აკაკის ხსოვნა სამუდამოდ არის შენახული ახალგაზრდობის გულში. აკაკი ბავშვების საყვარელი მგოსანია.

ლევან ასათიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერიკაცი და ბავშვები



დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა,
სიფრიფანა ფიფქი ცვივა;
მოგუნდავე ბალღებს ბაღში
ბერიკაცი უმზერს,—სცივა.
აგონდება სიყმაწვილე,
თან ცელქებზე რჩება თვალი
და შენატრის:
— ახ, შემეძლოს
თქვენთან ხტუნვა-კოტრიალი!

გიორგი ქუჩიშვილი

# პატარა რეზო



რეზოს უყვარს თამაშობა,
მანქანა და რაში.
შინ არ უნდა დაბრუნება,
თუ გავიდა კარში.
„გარეთ მინდა!“—გაიძახის,
„კიდევ მინდა, გარეთ!“
როცა სახლში შეიყვანენ,
ატირდება მწარედ.
მაგრამ დაღლილს თვალზე მილი
ეკიდება მალე.
„ნანა არა“, ტირის რეზო
და თან ხუჭავს თვალებს.

გივი გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი მურას ამბავი

ერთ სოფელში ერთ მოსახლეს მურა ძაღლი ჰყავდა.

ისეთი ზარმაცი იყო მურა, რომ ყეფაც ეზარებოდა. ეზოში უცხოც რომ შემოსულიყო, ყურადღებას არ მიაქცევდა. მზიან დღეს ჩრდილში იწვა, გრილ ამინდში კერიასთან მოიკალათებდა და მთელი დღე-ღამე ეძინა.

ზარმაცი იყო მურა. პატრონსაც ამიტომ არ ემეტებოდა მისთვის ლუკმა.

ერთხელ დილით მურას პატრონმა ცხენს აჰკიდა ხორბლით სავსე ორი ტომარა და წისქვილში წაიღო. როცა ნაშუადღევს შინ დაბრუნდა დაფქვილი გადმოიღო, შემდეგ ცხენს უნაგირი მოხადა, გაოფლილი ზურგი მოუწმინდა, ფაფარი დაუვარცხნა და ბევრი თივა დაუყარა.

მურა შორიახლოს იწვა. ყველაფერი დაინახა, ნაღვლიანად ამოიოხრა და შურით თქვა:

— მე რომ ცხენივით ოქროსფერი ფაფარი მქონდეს, მაშინ მეც მომივლიდნენ და მუდამ მაძღარი ვიქნებოდიო.

პატრონმა გაიგონა ეს და უთხრა:

— იმიტომ კი არ ვზრუნავ ცხენზე, რომ ლამაზი ფაფარი აქვს, არამედ იმიტომ, რომ ერთგულად შრომობს. შენ კი სულ წევხარ და, ვინც უნდა შემოვიდეს ეზოში, ერთხელაც არ შეუყეფ. სანამ ასეთი უქნარა იქნები, ჩემგან ლუკმასაც ვერ მიიღებ. მაგრამ თუ შენს მოვალეობას კარგად შეასრულებ, მეც მოგივლიო.

მურამ იფიქრა:

— პატრონის რჩევა-დარიგება უნდა შევისმინო. რაც მეტს ვიყეფებ, მეტ პურს მაჭმევს და მაძღარი ვიქნებიო.

ჩაცუცქდა მურა ხის ძირში და ყეფა დაიწყო. ძაღლის ხმაზე პატრონი სახლიდან გამოვიდა, გარშემო მიმოიხედა და, რადგან ვერავინ დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა:

— არავინ არ სჩანს და რად ყეფო?

— ჩემს მოვალეობას ვასრულებო! — უპასუხა მურამ.

— რა სულელი ყოფილხარ!—გაუჯავრდა პატრონი, — ეზოში არავინ შემოსულა და ტყუილად რად ირჯები, ან მე რად მაწუხებო?

პატრონი ისევ შინ შებრუნდა, მურამ კი ინატრა:

— ნეტავი მალე ვინმე გამოჩნდებოდეს, მაშინ უფრო ავყეფდები, პატრონს გაუხარდება და მთელ პურს გადმომიგდებსო.

მურამ თვალი მოავლო ეზოს და უეცრად ქათმები, ბატები და ღორი დაინახა.

— აი, ახლა კი ვასიამოვნებ ჩემ პატრონსაო, — გაიფიქრა გახარებულმა და, როგორც ჰკუა უჭრიდა, საქმეს ისე შეუდგა.

აყეფდა და გამოეკიდა მამალს, ბოლოში პირი წაავლო და წააგლიჯა, მერე ბატებს დაერია და ყველას ბუმბლი გააცალა. ღორზედაც იერიში მიიტანა. სწვდა მოგრეხილ კუდში და ისე უკბინა, რომ ღორის ჭყვირილმა იქაურობა შესძრა.



სწორედ ამ დროს პატრონის შვილს პატარა გოგონას წყაროდან კოკით წყალი მოჰქონდა.

— ესეც ჩემი ბედიო!—გაიფიქრა მურამ და ახლა გოგონასაკენ ყეფით გაიქცა.

გოგონა დაფრთხა, კოკა ხელიდან გაუვარდა და გატყდა.

ეზოში ისეთი ვაი-უშველებელი იდგა, კაცს ეგონებოდა, ქვეყანა ინგრევაო. ძაღლი დარბოდა და ყეფდა, დედლები კრიახებდნენ, მამალი ყიოდა, ბატები ყაყანებდნენ, გოჭი ჰყვიროდა და შეშინებული ბავშვი კიოდა.

ამ ხმაურზე პატრონი გამოვარდა სახლიდან და, დაინახა რა ყველაფერი, ცოლს შესძახა:

— ჩქარა ჩემი დიდი კომბალი გამომიტანე, ხომ ხედავ, ძაღლი გაცოფებულაო!

გამოეკიდა პატრონი მურას და დასცხო კომბალი. მურამ მაშინვე შესწყვიტა ყეფა, გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი. ჩაცუცქდა ერთ ბუჩქთან და ნაღვლიანად ამოიოხრა:

— რა უმადური პატრონი მყავს! ერთგულება გამოვიჩინე, ყველას ვუყეფ და ამისათვის პურის მაგიერ კომბალით გამიმასპინძლდა. თურმე მართალი ვყოფილვარ, — ოქროსფერი ფაფარი რომ მქონოდა, მაშინ მეც პატივისცემაში ვეყოლებოდიო!

სწორად ფიქრობდა მურა? მართლა იმიტომ სცემა პატრონმა, რომ ოქროსფერი ფაფარი არ ჰქონდა?

სერგო კლდიაშვილი

---

# მამას ელის

მამა სად ჰყავს ჯემალიკოს,
რისთვის დგება ადრიანად?
რად გასცქერის სოფლის შარას
ყოველ დილით დარდიანად?
მამა სად ჰყავს ჯემალიკოს?—
ხეც კითხულობს მოშრიალე.
უპასუხებს:—მამაჩემი
სამამულო ომში არი.

მამას ველი, იმ დიდ ომში
მეც თან უნდა წამიყვანოს.
რად ვერ წავალ? ყველა ამბობს:
უკვე დიდი კაცი ხარო!..

მურმან ლებანიძე

# ლურჯა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბა, მამი, შემომხედე,
მე ვაჟკაცი არ ვარ განა?
ნეტავ ჩემი თიხის ცხენი
შენს ბედაურს დაამგვანა!

ტიტინებდა პაწაწინა,
მამის ცხენზე შესკუპული,
მამილო კი ცხენს ვარცხნიდა
მზრუნველად და სიყვარულით.

— იცი, ჩემო პატარაო, —
წამოიწყო მამამ ახლა,—
ამ ცხენსა და მე არასდროს
არ გვიგრძვნია ომში დაღლა.

ვიბრძოდი და შემართული
ჭიხვინებდა ჩემი ცხენი.
ეჰ, რამდენჯერ მტერს საძულველს
გულს ვაგემეთ ტყვია ცხელი!

საგრამ ერთხელ, როცა დამჭრეს,
დამიბნელეს თითქოს დღენი,
სამშვიდობოს გამოქანდა
საყვარელი ჩემი ცხენი.

ორ დღეს ზურგით მატარებდა,
მიქროდა და ჭიხვინებდა,
სანამ შტაბი არ მონახა,
დასვენება არ ინება!

ალეკო შენგელია



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დათვი, მელა და კაცი

ზღაპარი

დათვმა ტყეში კურდღელი დაიჭირა და მოკვლა დაუპირა, ამ დროს კაცი წაადგა თავს და უთხრა:

— აბა, როგორ გეკადრება, ამოდენა დათვს პატარა კურდღელი დაგიჭირავს და შეჭმას უპირებ?

დათვს შერცხვა და კაცს შეეხვეწა:

— მართალს ამბობ, ოღონდ შენ ამ ამბავს ნურავის ეტყვი და სამაგიეროდ ისეთ ადგილს გასწავლი, სადაც ბევრი თაფლია.

კაცს დათვის ნათქვამი მოეწონა, გაეხარდა და პირობა მისცა:—არავისთან არ გაგამჟღავნებო.

კაცი შინ რომ მივიდა, იფიქრა, დათვი რას შეიტყობსო და დათვის ამბავი ცოლს უამბო.

ამის შემდეგ კაცი ხშირად დადიოდა ტყეში და შინ ბევრი თაფლი მოჰქონდა.

ერთხელ ეს კაცი, თაფლით დატვირთული, შინისკენ მოდიოდა და ისევ შეხვდა დათვს. მაგრამ დათვს მუცელი სტკიოდა და გამწარებული მიწაზე გორავდა.

კაცს შეებრალა დათვი, იფიქრა, იქნება ჩემი ბრალია, ცოლს რომ ვუამბე დათვისა და კურდღლის ამბავიო და უთხრა:

— ვაი, ვაი, მეგობარო, მაპატიე, ცოლისათვის რომ არ მეთქვა შენი და კურდღლის ამბავი, იქნება ეს შავი დღე არ დაგდგომოდაო. ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ გვიანღა არისო.

დათვი გაბრაზდა, წამოვარდა და ღრიალით მივარდა კაცს:

— აჰა, მაშ შენ ცოლთან გამამჟღავნე?! დამაცა, ახლა შენ თვითონ შეგჭამ.—ჩაავლო წინა ტორები კაცს და ის-ის იყო

შესაჭმელად უნდა გაქცეულიყო, რომ საიდგანღაც გამოხტა მელა და შესძახა დათვს:

— დათვო, შენს დასაჭერად მონადირეები მოდიან და აქ რას უდგეხარ?!

დათვს შეეშინდა. მიატოვა კაცი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა.

მხიარული მელა მიუბრუნდა კაცს:

— სიკვდილს რომ გადაგარჩინე, სამაგიეროდ თაფლი მაჭამე.

კაცმა უცებ პირი დაალო და კლაკვნა და ტრიალი დაიწყო.

გაკვირვებულმა მელამ ჰკითხა:

— რა დაგემართა, რას იკლაკნები?

— როგორ რას ვიკლაკნები! სწორედ შენი მოსვლის წინ მეძებრები გადავყლაპე და ახლა მუცელში აღარ ჩერდებიან, სულ ისევე უკანვე გამოვიდნენ.

მელა შიშისაგან აცახცახდა და შეეხვეწა კაცს:

— იმდენი სიკეთე მიყავი, ცოტახანს კიდევ პირი დამუწე, ნუ გამოუშვებ მეძებრებს, სანამ გავიქცეოდე და მათ კბილებს თავს დავახწევდე—და მოჰკურცხლა.

**ნინო ნაკაშიძე**



# გიგას მელა



ერთხელ ტყეში გიგა მელას სოროს წააწყდა. ძლიერ გაეხარდა. სოროს პირი მოანგრია და ერთი პატარა მელა გამოიყვანა.

— აი, ბიჭობა ეს არის! — გაიფიქრა მან.

როცა გიგამ პატარა მელა შინ მოიყვანა, ყელზე ეჟვანი შეაბა და აივნის ქვეშ დააბა.

ცნობისმოყვარე ბავშვები მიდიოდნენ და ნახულობდნენ გიგას მელას. ზოგს პური მიჰქონდა მისთვის, ზოგს ხორცის ნაჭერი.

სოფლის თავმომწონე ბიჭები შენატროდნენ გიგას.

პატარა მელა წყნარად იყო. გიგამ რამდენჯერმე გაატარ-გამოატარა ეზოში. მელას გაქცევა არ უცდია, არც კრუხ-წიწილებს მიძალებია, მორჩილად გამოიყურებოდა.

გიგა დარწმუნდა — მელა მოშინაურდაო და ეზოში თავისუფლად გაუშვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა თავმომწონე ბიჭებმა გიგას მორჩილად დაუწყეს ხვეწნა: — ჩვენც დაგვაჭერინე მელიები და მოგვაშინაურებინეო. სამაგიეროდ ჰპირდებოდნენ: ციცრის კვერცხებს, პრიალა, ვარსკვლავიან ღილებს...

ვერ დაითანხმეს გიგა.

— განა ასე ადვილია მელას დაჭერა?! — ეუბნებოდა მათ გიგა და დარბაისელი კაცივით მიეყრდნობოდა ღობეს.

— თქვენ რომ დედა-მელა გაჩვენათ, შიშით გული გაგისკდებოდათ... იცით, რამდენა პირი აქვს, რამდენა ბრჭყალები?! თქვენ ვერც წარმოიდგენთ!

მელა უდარდელად დაცუნცულობდა ეზოში. მერე აივნის ქვეშ მოიკუნტებოდა და უწყინრად იწვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გიგას დედას გასასუქებლად დამწყვდეული დედალი დაეკარგა, შემდეგ მამალი... დიდხანს სძებნა ბაღსა და ვენახში. ვერსად იპოვა. ბოლოს იჭვი მელაზე მიიტანა და მიეჭრა მას, მაგრამ მელა ისე მოკუნტულიყო აივნის ქვეშ, რომ გიგას დედას შერცხვა: — ამ საცოდავ მელაზე როგორ მივიტანე იჭვიო.

ერთ დღეს გიგამ თვალი შეასწრო: მელა ძარიდან გამოძვრა, პირში ყვინჩილა ეჭირა. გიგას გაეხარდა: — ეს რა მარჯვე მელა მყოლიაო. ამ დროს დედის ხმაურობა შემოესმა და მელას ანიშნა: — დედაჩემმა არ დაგინახოსო. მელას ეგონა: — მიჯავრდებაო. გაიქცა. ფიჩხის გროვას აჰყვა და საბძლის სახურავზე ავიდა. მელას ამ დროს გიგას დედამ მოჰკრა თვალი.

— აი, ჩემი ქათმების ქურდი, — აყვირდა გიგას დედა, — ჩამოდი, შე წუწკო, ჩამოდი, ქვაზე მიგანარცხებინო თავი!

— ქურდი კი არა... მარჯვეა! — წამოიძახა გიგამ.

— რაო?! — გაიკვირვა დედამ და ახლა გიგა დატუქსა.

მათ ხმაურზე მეზობლები მოვიდნენ. ცნობისმოყვარე ბიჭებმაც მოირბინეს. გახარებულებმა ცქერა დაუწყეს საბძლის სახურავზე ასულ მელას, ყვინჩილას რომ მიირთმევდა. ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.

შერცხვენილი გიგა სათონეში დამალულიყო, ჭუჭრუტანიდან გაჰყურებდა ხალხს და მელას მსუნაგობით შეწუხებული ნაღვლიანად ამბობდა: — შე წუწკო, რაღა ქვეყნის დასანახად გამოსულხარ, სადმე ჩუმად შეგეჭამა ყვინჩილაო.

როცა მელამ ყვინჩილა მიირთვა, ეზოს ამაყად გადახედა, იშვირა ფეხი და ბაღში გადახტა. ბიჭები ყიჟინ-ხივილით დაედევნენ, მაგრამ მელას კვალი ველარსად იპოვეს.

ოთარ ჩხეიძე



# ჩხიკვის ხუმრობა

ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩხიკვი განთქმული ხუმარაა ფრინველთა შორის. ხან ძერასავით დაიძახებს და ქათმებს დააფრთხობს. —უხარია, ქათმები რომ ალიაქოთს ატეხენ. ხან ციკანს გამოაჯავრებს ჩხიკვი, ხან ადამიანივით გადაიხარხარებს, ხან ყვავს გამოაჯავრებს. ასე ერთობა ჩხიკვი, როცა კარგ გუნებაზეა.

ერთხელ ჩხიკვი ცუდ გუნებაზე იყო. შემოჯდა ხის ტოტზე და ტირილი მორთო. ნამდვილი ტირია ბავშვი გეგონებოდათ. გამოიარა თხუნელამ, გაუკვირდა ჩხიკვის ტირილი და ჰკითხა:

— რა მოგვსლია, რა გატირებსო?

— ამბობენ, ქვეყანა უნდა დაიქცეს და იმაზე ვტირიო!—უპასუხა ჩხიკვმა.

— ვაი, ჩემ თვალებს, ეს რა მითხარიო!—შეშინდა თხუნელა. ქვეყნის დაქცევას როგორ უნდა შევხედოო!—დაითხარა თვალები და ჩაძვრა მიწაში. გამოიარა ქინქრაქამ. ჩხიკვი ტირის.

— რა გატირებს, შე ქვეყნის მასხარაო?



— იქით გამეცალე, შენ გუნებაზე არა ვარ! საცაა ცა უნდა ჩამოიქცეს და ქვეყანა დაიღუპოსო!

ქინქრაქა მაშინვე ზურგზე დაწვა და ფეხები ზევით აიშვირა. ჩხიკვს ისე გაუკვირდა ეს, რომ ტირილი დაავიწყდა.

— რას შვრები მაგასო?—ჰკითხა ჩხიკვმა.

— ცა თუ ჩამოიქცა, ფეხებით შევიკავებ და ქვეყანას გადავარჩენო.—უპასუხა ქინქრაქამ.

ჩხიკვმა ველარ მოითმინა და გადაიხარხარა. შემ-

დეგ მივიდა ჭინჭრაქასთან და ჩაუნის-კარტა:

— ჰაიტ, შე დალეულო! ვის უნდა შენი გადარჩენილი ქვეყანაო?

შერცხვა ჭინჭრაქას და მას აქეთ სულ ღობე-ღობე დაძვრება, არავინ დამინახოს და არ დამცინოსო.

თხუნელა კი მიწაში დარჩა, შიშით ზევით ვერ ამოდის,—ქვეყანა რომ დაიქცეს, რაღა მეშველებაო. დაძვრება მიწაში და ჭიებსა სჭამს. ასეთი ამბავი მოჰყვა ჩხიკვის ხუმრობას.

**პარმენ ჭანიშვილი**

---

# გუდიკოს საუბარი

ხუთი წელი შემისრულდა,
უჰ, ძლივს გავხდი ხუთის, ძლივს!
შარშან მთელი წელიწადი
მე ვიყავი ოთხი წლის!
შარშან ცოტა გავიზარდე,
წელს მე დიდი გავხდები!
იცით, როგორ?—აი, ასე...
ავხტები და ავხტები!
მე ახალ წელს დავიბადე,
წელს კი არა, სულ წინად.
თურმე ბებომ მაბანავა,
აკვანში ჩამაწვინა,
დედა ძუძუს მაწოვებდა.
მეძინა და მეძინა.
ახლა უკვე ხუთი წლის ვარ,
ახლა უფრო დიდი ვარ.
მე საბავშო ბაღში მარტო
ყოველ დილას მივდივარ.
მე არაფრის მეშინია,
გინდ ბეკეკამ მირქინოს...
აგერ ბატი!.. ჩემკენ მოდის...,
ალბათ უნდა მიკბინოს.
წავალ, თორემ დედოფლები
ვაი, თუ შემიშინოს!

**ილია სიხარულიძე**

# გამოცანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შედგენილია ალ. საჩინოელის მიერ)

1. ბროლის ფერი და კრიალა
ცივი არის და სრიალა.
(ყინული)

2. ჯერ ზამთარი არ წასულა,
ყვავილი კი ამოსულა.
(ენძელა)

3. მღრღნელია და წრუწუნა,
მას მტერი ჰყავს ციცუნა.
(თაგვი)

4. კაცმა თუ არ მოიყვანა,
დაიმშევა ეს ქვეყანა.
(ხორბლეული)

---

## ჩქარა გამოთქვით!

1. კატას კეტით არავინ სცემს,
კოტე კატას კეტით სცემდა.
2. ნაქურდალი ქურქის ქუდი
ქურდსა ქუდად თავს ეხურა.

---

## ლოკოკინას კბილები

ჭამს თუ არა, ბავშვებო, ლოკოკინა საჭ-მელს? რასაკვირველია ჭამს. მაგრამ როგორ ახერხებს, აქვს მას კბილები? თურმე აქვს. მთელი მისი ენა დაფარულია ათასზე მე-ტი პატარ-პატარა კბილებით.

ლოკოკინას კბილები მეტად ბასრი აქვს და მათი შემწეობით ადვილად ინელებს საჭმელს — ბალახსა და ფოთლებს.

## რა შეუძლია პატარა ხოჭოს?

არიან ხოჭოები, რომლებიც ცხოვრობენ ხის კარადის კედლებში. ისინი კედლებში გზას ღრღნიან. თუ კედლებში ბევრი ასეთი მღრღნელი გაჩნდება, კარადა დაიშლება. მაშასადამე, პატარა ხოჭოს შეუძლია დი-დი კარადის წაქცევა.

ფასი 5 მან.

54

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაბუა და შვილიშვილები

გამომც. შეკვეთის № 23.    სტამბის შეკვ. № 239    ტირაჟი 7.000    უე 06607.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში